ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№0901/10/112

ქ. თბილისი

4.10.2012 წ.

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის იოსებ ქარსელაძის სახით და, მეორე მხრივ, **ა.ა.ი.პ „ისან-სამგორის გამგეობა"** (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი **თეიმურაზ გრიგალაშვილის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20[2] მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. ***<u>ხელშეკრულების საგანი:</u>*** ტალონური სისტემით საწვავის დიზელი (PPM 50 ზე ნაკლები) ნასყიდობა.

3. ***<u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u>*** წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის დიზელს (PPM 50 ზე ნაკლები) 250 ლიტრის ოდენობით.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 5 (ხუთი თეთრი) დღგ-ს ჩათვლით დიზელის (PPM 50 და მეტი) შემთხვევაში.

5. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინმსწრებად. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.

6. საწვავის სახელმწიფო შესყიდვახორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.

7. ***ხელშეკრულების მოქმედების ვადა:*** წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით

8. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.

9. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.

10. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

11. **მხარეთა რეკვიზიტები:**

მიმწოდებელი	**შემსყიდველი**
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს ტ/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის # GE62BG0000000876831000 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს ტ/ფ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში # GE05TB7538836020100001	ა.ა.ი.პ „ისან-სამგორის გამგეობა" იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი,ნავთლუღის ქუჩა # 8 საიდენტიფიკაციო კოდი: 208204959 ბანკი;ს.ს. „ლიბერთი ბანკი" ბანკის კოდი;LBRTGE22 ანგარიშის # GE95LB0125152101627000
გამყიდველის სახელით, ი. ქარსელაძე	**შემსყიდველის სახელით:** თ.გ[illegible]